

ურთიერთშეთანხმების აქტი

ქ. თბილისი

„25“ ოქტომბერი, 2019 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ილია ტარასაშვილი და მეორეს მხრივ შპს „ტენდერი 123“-ის დირექტორი ამირან ჩიტაშვილი, ჩვენ შორის კონსოლიდირებული ტენდერის (CON190000401) საფუძველზე 2019 წლის 22 აგვისტოს გაფორმებული №386 ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.1 პუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით მასზედ, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებაში, ღირებულების შეუცვლელად, შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ:

– ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2019 წლის 22 აგვისტოდან 2020 წლის 30 იანვრის ჩათვლით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული (დანართი №2) გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.“

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე



ილია ტარასაშვილი

შპს „ტენდერი 123“-ის
დირექტორი

ამირან ჩიტაშვილი